ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

შპს - კავკასიის უნივერსიტეტს

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიასა
და
შპს - კავკასიის უნივერსიტეტს შორის

ქ. გორი ____ მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ შპს - კავკასიის უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი პრეზიდენტის კახა შენგელიას სახით (შემდგომში „მხარეები"), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის მზადყოფნას და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი და ინოვაციური პროგრამების განვითარებას.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მხარეები, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში:

ა) ხელს შეუწყობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას;

ბ) ხელს შეუწყობენ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გამოცდილების გაზიარებას;

გ) ითანამშრომლებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებში;

დ) ხელს შეუწყობენ ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას;

ე) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა აქტივობების ჩატარებაში;

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

2.2. აკადემია:

ა) უზრუნველყოფს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობას ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა/აკადემიური პერსონალის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების სტუდენტთა/აკადემიური პერსონალის მიერ ლაბორატორიების და სამხედრო დანიშნულების საშუალებების გამოყენებას;

ე) ხელს შეუწყობს აკადემიურ და კვლევით პროგრამებში სამხედრო თემატიკის განვითარებას;

2.3. უნივერსიტეტი, შესაძლებლობის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს აკადემიის მიერ წარმოდგენილ იუნკერთათვის ლაბორატორიების ერთჯერადი გამოყენების ან მათი დათვალიერების შესაძლებლობას, ასევე შესაბამისი საცდელი ლექციის ჩატარებას უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების ლექტორთა მიერ;

ბ) უზრუნველყოფს იუნკერთათვის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის შესაძლებლობას;

გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოთხოვნისამებრ აკადემიის მოსამსახურეებისათვის სასწავლო პროგრამების გავლას თუ ისინი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაებარებენ კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე, შესაბამისი სასწავლო საფასურის გადახდის სანაცვლოდ;

დ) უზრუნველყოფს სამეცნიერო პროგრამულ კონფერენციებში, აგრეთვე სპორტულ, კულტურულ და სხვადასხვა კურიკულუმგარეშე აქტივობებში დაინტერესებულ სტუდენტთა ჩართულობას.

მუხლი 3.

დამატებითი პირობები

ა) წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი წერილობითი სახის შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

ბ) მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი სახით აცნობოს შეწყვეტამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

გ) შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს. ის არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპეტენციაზე.

მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

დ) მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
პოლკოვნიკი მამია ბალახაძე	კახა შენგელია